**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კაკაბაძე ზურაბ შოთას ძე

კაკაბაძე ზურაბ შოთას ძე (დ. 26. III. 1952, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (2000). 1977 დაამთავრა ქ. ჩიტას (რფ) სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1977–80 იყო ამავე ქალაქის რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგი. 1982–2006 მუშაობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგ. კათედრაზე. 2006-იდან დღემდე არის თსსუ-ის კლინიკური ანატომიის მიმართულების ხელმძღვანელი.

კ. არის მრავალი სამეცნ. შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, რებიც ეხება ღეროვანი უჯრედებისა და ქსოვილების ბიოინჟინერიას, ტრანსპლანტოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

*თხზ.:* ბავშვთა და მოზარდთა ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (ორტომეული), თბ., 1997; ქალის სასქესო სისტემის კლინიკური ანატომია და ქირურგიული გინეკოლოგია, თბ., 2011.